ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის კონცეფციების

საჯარო განხილვა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში შპს ,,ნიუ სითი დეველოფმენთ"-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის კონცეფციები.

დოკუმენტაცია შემუშავდა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და შპს ,,ნიუ სითი დეველოფმენთ"-ს შორის 2023 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N130-2023 ხელშეკრულების (კონკურსი CNT230000059) საფუძველზე.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული პროექტი ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურას.

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის კონცეფციების საჯარო განხილვა დაიგეგმა 2025 წლის 16 მაისს 12:00 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრში შემდეგ მისამართზე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზურგეთი, მე-9 ქუჩა.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება განსახილველი დოკუმენტაცია ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვის ჩატარებიდან **15 სამუშაო დღის ვადაში,** სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge; ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა N1.

დოკუმენტაცია ატვირთულია შემდეგ ბმულზე:

https://drive.google.com/drive/folders/1kGtwLvL9mlDDWIKejIOxplWqqqXgMCCz?usp=sharing